

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თურქეთისმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თურქეთისმცოდნეობის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	თურქეთისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო; 10 კრედიტი ეთმობა არჩევით კურსებს; ხოლო საბაკალავრო ნაშრომს ან სასწავლო კურსს სპეციალობაში 10 კრედიტი). დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>თურქეთისმცოდნეობის საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამა საქართველო-თურქეთის მეგობრობის, საგანმანათლებლო - სამეცნიერო საქმიანობის, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობების შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც დროის მოთხოვნის შესაბამისად შეძლებენ ცვალებად გარემოსთან ადვილად ადაპტირებას. შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, მოამზადოს თურქეთისმცოდნეობის, ხოლო მეორე მხრივ, აღზარდოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულების მატარებელი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე თავის დამკვიდრებას ან სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე.</p>
<p>სწავლის შედეგები</p> <p>(ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>დარგობრივი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს ფართო ცოდნა თურქეთის არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, გეოგრაფიის, კულტურის, თურქული ენის, ლიტერატურის, რელიგიის ისტორიის, თურქეთის ტურიზმის, თანამედროვე პერიოდის თურქეთის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში;</p> <p>აქვს ფართო ცოდნა ცალკეული ისტორიული მოვლენების, პრობლემებისა, შეუძლია ამა თუ იმ პერიოდის კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირის გაცნობიერება და ჩამოყალიბებული აქვს მათი დროში ცვალებადობის გაგება-გაანალიზების უნარი;</p> <p>აქვს საფუძვლიანი ცოდნა თურქეთის, მათ შორის მსოფლიო ისტორიის (პრეისტორიული, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი, საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის) ქრონოლოგიური მოვლენის შესახებ;</p> <p>ჩამოყალიბებული აქვს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც თურქეთის, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია მარტივი, გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკური მარაგის გამოყენებით თურქულ და ინგლისურ ენებში მარტივი, ადაპტირებული ტექსტების კითხვა, კომენტირება და გაანალიზება; შეუძლია თურქეთის, საქართველოსა და მსოფლიო</p>

	<p>ისტორიასთან მიმართებაში, თურქული, ქართული და ინგლისური ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, კომენტირება, ანოტირება და გამოყენება; ფლობს თურქეთისმცოდნეობაში ინფორმაციის მოძიების საშუალებებს(ბიბლიოგრაფიული, ზეპირსიტყვი იერი, საარქივო, სამუზეუმო, ელექტ რონული) და მოძიებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენებას.</p> <p>დასკვნის უნარი: თურქეთისმცოდნეობაში წერილობითი, ნივთიერი, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით სტუდენტი შეძლებს ისტორიოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებით შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებას; შეუძლია წაკითხული ტექსტის ინტერპრეტაცია, მხატვრულ ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაანალიზება, კრიტიკული და ანალიტიკური დასკვნის გაკეთება.</p> <p>კომუნიკაციის უნარი შეუძლია მშობლიურ და უცხო ენებზე (თურქული, ინგლისური) (ზეპირი და წერილობითი), კომუნიკაცია, მხატვრული და ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა და გაგება; შეუძლია უცხო ენაზე (თურქული, ინგლისური) სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული დისკუსია და დებატები; პრეზენტაციების ჩატარება ინტერნეტ რესურსების გამოყენებით; კონკრეტულ თემებზე საკუთარი აზრის ლოგიკური და თანმიმდევრული ჩამოყალიბება თურქულ და ინგლისურ ენაზე; საშუალო მოცულობის კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და მისი ზეპირი ფორმით შესაბამისი აუდიტორიისათვის მიწოდება.</p> <p>სწავლის უნარი შეუძლია დროის ეფექტური გამოყენებით საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება; ჩამოყალიბებული აქვს ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, გადამუშავებისა და შეთვისების, ასევე სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი; შეუძლია მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება; კურსდამთავრებულები აკადემიურად მზად არიან შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გასაგრძელებლად.</p> <p>ღირებულებები აქვს თურქეთის ისტორიის, თურქული ენის, კულტურისა და ტრადიციების ცოდნა, პატივისცემა და შეუძლია მისი საზოგადოებაში დამკვიდრება; ჩამოყალიბებული აქვს თურქული და ასევე სხვა ენების და მისი მატარებელი ხალხის მიმართ ტოლერანტობა და პატივისცემა.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ მაკარაძე ტელ: 577 17 97 45. ელ-ფოსტა: makaradze@hotmail.com</p>